სოფელ ხიხანსა და შაუმიანში 30 წლის შემდეგ სარწყავი წყალი ექნებათ

3 ოქტომბერი

მარნეულის მუნიციპალიტეტში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება იწყება. სოფელ ხიხანსა და შაუმიანში 30 წლის შემდეგ სარწყავი სისტემა ამუშავდება. სამუშაოები, რომელიც უახლოეს დღეებში დაიწყება ითვალისწინებს სატუმბი სადგურების მშენებლობას, სადაწნეო მილსადენების, წყალგამანაწილებელი კვანძების, წყალშემკრებებისა და სხვა სამელიორაციო ნაგებობების მოწყობას. რეაბილიტაცია ჩაუტარდება ხიხანისა და შაუმიანის სარწავ არხებს. აღდგენილი საირიგაციო სისტემით მუნიციპალიტეტში 1000 ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი მოირწყვება.

შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორი დავით წითლიძე კომპანიის ხელმძღვანელ პირებთან ერთად სოფელ ხიხანში იმყოფებოდა, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა და მათ დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. პროექტის ღირებულებაა 3 659 900 ლარი.

მურიასში კოლექტორული და შემკრები არხები იწმინდება

7 ოქტომბერი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, რიონის მარცხენა სანაპიროს დამშრობ მასივზე სამუშაოებს ატარებს. გაწმენდითი სამუშაოები მდინარე ფიჩორის დამარეგულირებელი ნაწილის კოლექტორულ და შემკრებ არხებს უტარდება. დანალექისა და ნატანი მასისგან ქსელის 4.5 კილომეტრიანი მონაკვეთი იწმინდება . სამუშაოების შედეგად სადრენაჟე მომსახურება 14 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე აღდგება.

სოფელ ხირსაში სამელიორაციო არხები იწმინდება

9 ოქტომბერი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ სარწყავი და სადრენაჟე არხების აღდგენით სამუშაოებს ატარებს. კახეთში, სიღნაღის მუნიციპალიტეტში, გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს. სოფელ ხირსაში დანალექი გრუნტისა და ბუჩქნარისაგან ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის წყალგამანაწილებელი და მის მიმდებარედ არსებული დამშრობი არხები (საერთო სიგრძით 3,8 კმ) იწმინდება. არხების გაწმენდა მიწის ფართობებზე სარწყავი წყლის მიწოდების გაუმჯობესებასთან ერთად, 40 ჰექტარ სატბორე მეურნეობისთვის წყლის მიწოდებას, ხოლო 50 ჰექტარზე სადრენაჟე მომსახურებას უზრუნველყოფს.



ოცი წლის შემდეგ სამთაწყაროსა და ფიროსმანის სავარგულები მოირწყა

15 ოქტომბერი

ოცწლიანი პაუზის შემდეგ სამთაწყაროსა და ფიროსმანის სავარგულები მოირწყა. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაციამ“ კახეთში, სამთაწყარო-ფიროსმანის მექანიკური მორწყვის სისტემების რეაბილიტაცია განახორციელა. პროექტის ფარგლებში: აშენდა ახალი სატუმბი სადგურები; სარწყავი სისტემის 16 - კილომეტრიან მაგისტრალურ არხს და მასზე არსებულ ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა; არხები მთლიანად გაიწმინდა ბუჩქნარისა და გრუნტის ნატანისგან; დაზიანებული რკინა-ბეტონის ფილების სანაცვლოდ მოეწყო მონოლითური არმირებული ბეტონი. აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარდა ხიდებს, ღვარსაშვსა და წყალაღების კვანძებს. ჩატარებული სამუშაოების შედეგად, სოფლების ფიროსმანისა და სამთაწყაროს 1000 - ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის მორწყვა გახდა შესაძლებელი. საქართველოს მელიორაციის გენერალურმა დირექტორმა, დავით წითლიძემ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში აღდგენილი სარწყავი სისტემა დაათვალიერა და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა.

ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობა მარემონტდა

21 ოქტომბერი

საქართველოს მელიორაციამ ახმეტის მუნიციპალიტეტში, ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია დაასრულა. პროექტის ფარგლებში: სათავე ნაგებობის ზედა და ქვედა ბიეფზე არსებულ სარეგულაციო კედლებს ჩაუტარდა რეაბილიტაცია; შეკეთდა სათავე ნაგებობის წყალმიმღები კამერა და სწრაფმდენი; ფარების მართვა აღიჭურვა დისტანციური მართვის სისტემით და კონტროლდება ვიდეო კამერების საშუალებით, რაც საშუალებას იძლევა უხვი ნალექის დროს, მინიმალურ დროში მოხდეს რეაგირება და წყლის მიწოდების რეგულირება. ჩატარდა ნაპირსამაგრი სამუშაოები, მოეწყო 255 მეტრი სიგრძის გაბიონი. აღნიშნული ღონისძიებები მიმდებარე ტერიტორიის დატბორვისგან დაცვას უზრუნველყოფს, პროექტის ღირებულებაა 1 125 000 ლარი. სამელიორაციო ობიექტზე ჩატარებულ სამუშაოებს შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორი დავით წითლიძე გაეცნო.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში სადრენაჟო სისტემის რეაბილიტაცია ჩატარდა

28 ოქტომბერი

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფლების სნოს, აჩხოტისა და გორისციხის მოსახლეობას, სადრენაჟე სისტემის გაუმართაობის გამო, ათეულობით წელია ჭარბი წყლის პრობლემა აწუხებდა, რაც შეუძლებელს და არაეფექტიანს ხდიდა ისედაც მცირემიწიან რაიონში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას. სამხარეო ადმინისტრაციის თხოვნით, გარემოს დაცვისა სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქართველოს მელიორაციამ მასშტაბური სამუშაოები განახორციელა ამ პრობლემის მოსაგვარებლად. დღეისთვის გაწმენდილია 6,5 კმ სიგრძის სადრენაჟე არხი. გარემონტდა, ხშირ შემთხვევაში კი თავიდან აშენდა კოლექტორული მიმღებები და სრულად მოწესრიგდა სადრენაჟე ინფრასტრუქტურა. შედეგად 45 ჰექტარი ფართობი გათავისუფლდა ჭარბი წყლისგან და შესაძლებელი გახდა სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის მისი გამოყენება. ჩატარებული სამუშაოების გასაცნობად და მოსახლეობასთან შესახვედრად ყაზბეგის რაიონს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი რეგიონულ საკითხებში სოზარ სუბარი; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იური ნოზაძე; მცხეთა-მთიანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი შალვა კერესელიძე, შპს „საქართველოს მელიორაციის“ ხელმძღვანელი დავით წითლიძე და სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს დირექტორი ოთარ შამუგია ეწვივნენ.

ქობულეთში დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

31 ოქტომბერი



შპს „საქართველოს მელიორაცია“ სარწყავი და სადრენაჟე სისტემების აღდგენით სამუშაოებს აქტიურად ატარებს. ქობულეთის მუნიციპალიტეტში დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. ხე-ბუჩქნარისა და ნატანი მასისგან 7 კილომეტრი სიგრძის მაგისტრალური არხი იწმინდება. სამუშაოების შედეგად არხის გამტარუნარიანობა გაუმჯობესდება, რაც 280 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწების დაშრობას, უხვი ნალექის დროს ქობულეთის ეროვნული პარკისა და ქობულეთის ნაწილის დატბორვისგან დაცვას უზრუნველყოფს. პროექტი, რომლის ღირებულებაც 342 000 ლარია მიმდინარე წლის ივლისში დაიწყო და დასრულების ეტაპზეა. სამელიორაციო ობიექტზე მიმდინარე სამუშაოებს შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორი დავით წითლიძე, ქობულეთის მერის პირველი მოადგილე ლევან ზოიძე, ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ზაზა კაიკაციშვილი და ფრაქცია ქართული ოცნების თავჯდომარე გიორგი გოგიტიძე ადგილზე გაეცნენ და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდნენ.

ხობის მუნიციპალიტეტში დამშრობი სისტემა იწმინდება

4 ნოემბერი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ ხობის მუნიციპალიტეტში სამელიორაციო-ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს ატარებს. სოფელ საჯიჯაოში კოლექტორული და შემკრები არხების 6900 მეტრიანი მონაკვეთი იწმინდება. სამუშაოების შედეგად, სადრენაჟე მომსახურება 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე აღდგება. დამშრობ ქსელზე მიმდინარე სამუშაოებს კომპანია საკუთარი ძალებით ატარებს.

ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

7 ნოემბერი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტოს შპს „საქართველოს მელიორაცია“ კახეთში, ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციას ახორციელებს. საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს წყალგამანაწილებელი არხის აღდგენითი სამუშაოები. პროექტის ფარგლებში დანალექი გრუნტისაგან და ბუჩქნარისაგან გაიწმინდა არხის 12 კილომეტრიანი მონაკვეთი; მოეწყო მონოლითური ბეტონის ბორდიური. ამ დროისთვის მიმდინარეობს არხის ფერდებისა და ძირის მონოლითური ბეტონით შევსება და ტორკრეტირება.

მიმდინარე სამუშაოებს გაეცნო შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორი დავით წითლიძე. სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების შედეგად, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში 330 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე გააუმჯობესდება სარწყავი წყლის მიწოდება. სამუშოები მიმდინარე წლის ივლისში დაიწყო და 2021 წლის დასაწყისში დასრულდება.

დამშრობი არხის მაწმენდითი სამუშაოები სიღნაღის მუნიციპალიტეტში

13 ნოემბერი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ სიღნაღის მუნიციპალიტეტში, წნორის კომპლექსის ტერიტორიაზე, დამშრობი არხის აღდგენით სამუშაოებს ატარებს. დანალექისაგან არხის 1750 მეტრიანი მონაკვეთი იწმინდება. მიმდინარე სამუშაოების შედეგად, არხში გაიზრდება წყლის გამტარუნარიანობა, რაც მუნიციპალიტეტში 120 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობიდან ჭარბი წყლის მოცილებას უზრუნველყოფს. სამუშაოები ოქტომბერში დაიწყო და ნოემბრის ბოლოს დასრულდება.

მურიაში დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

22 ნოემბერი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას აქტიურად განაგრძობს. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მთისძირა არხის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. ხე-ბუჩქნარისა და ნატანი მასისგან დამშრობი არხის 17 კილომეტრი სიგრძის მონაკვეთი იწმინდება. სამუშაოების შედეგად, არხის გამტარუნარიანობა გაუმჯობესდება, რაც 6900 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობიდან ჭარბი წყლის მოცილებას გააუმჯობესებს. პროექტი, რომლის ღირებულებაც 1 527 800 ლარია მიმდინარე წლის ივლისში დაიწყო და მომავალი წლის გაზაფხულზე დასრულდება.

სამელიორაციო ობიექტზე მიმდინარე სამუშაოებს შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორი დავით წითლიძე რეგიონალური სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად ადგილზე გაეცნო და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდნენ.

სარწყავი არხის გაწმენდითი სამუშაოები ახმეტის მუნიციპალიტეტში

3 დეკემბერი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ ახმეტის მუნიციპალიტეტში, სოფელ აწყურისა და ზემო ხოდაშენის ტერიტორიაზე, ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის გაწმენდით სამუშაოებს ატარებს. ნატანი მასისგან და დანალექი გრუნტისგან არხის 2800 მეტრიანი მონაკვეთი იწმინდება. მიმდინარე სამუშაოების შედეგად, მუნიციპალიტეტში 900 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე გაუმჯობესდება სარწყავი წყლის მიწოდება. აღდგენილი საირიგაციო სისტემით 22 სოფლის (აწყური,ზემო ხოდაშენი, იყალთო, რუისპირი, ოჟიო, კოღოთო, გულგულა, ვარდისუბანი, ყარაჯალა, კურდღელაური, შალაური, კისისხევი, წინანდალი, კონდოლი, ქვემო ხოდაშენი, ბუშეტი, ვანთა, აკურა, კახიფარი, ვაჩნაძიანი, კალაური) მოსახლეობა ისარგებლებს. გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარე წლის ნოემბერში დაიწყო და დეკემბერის ბოლოსთვის დასრულება.

ხანჩალის ტბის დამბის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

5 დეკემბერი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ სამცხე-ჯავახეთში ხანჩალის ტბის დამბის დაზიანებული მონაკვეთების რეაბილიტაციას ახორციელებს. პროექტით გათვალისწინებულია დამბის კვეთის აღდგენა და ფერდების რკინაბეტონის ფილებით მოპირკეთება. ჩატარებული სამუშაოები ტბის მდგრადობას და მიმდებარე ტერიტორიის შესაძლო დატბორვისგან დაცვას უზრუნველყოფს. პროექტის სავარაუდო ღირებულებაა 284 000 ლარი. საქართველოს მელიორაციამ სამუშაოები საკუთარი ძალებით ოქტომბერში დაიწყო და დასრულების ეტაპზეა. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში მიმდინარე სამუშაოებს შპს „საქართველოს მელიორციის“ გენერალური დირექტორი დავით წითლიძე კომპანიის სხვა წარმომადგენლებთან ერთად ადგილზე გაეცნო.

საბერიკაცოს მასივზე მიმდინარე საღრენაჟე სამუშაოები

12 დეკემბერი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ ქობულეთში დამშრობი სისტემების რეაბილიტაციას ახორციელებს. ამჯერად სარემონტო სამუშაოები საბერიკაცოს მასივზე მიმდინარეობს. სამუშაოების ფარგლებში იწმინდება მაგისტრალური და შემკრები არხები, რომელთა საერთო სიგრძე 1620 მეტრს შეადგენს. სამელიორაციო სამუშაოები 28 ჰექტარი მიწის ფართობის დაშრობას უზრუნველყოფს.

საქართველოს მელიორაცია საფეხბურთო ტურნირის მამარჯვებულია

16 დეკემბერი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტურნირის გამარჯვებული მინი-ფეხბურთში შპს „საქართველოს მელიორაციის“ გუნდი გახდა. ტურნირის ფინალში ერთმანეთს შპს „საქართველოს მელიორაციის“ და ეროვნული სატყეო სააგენტოს გუნდები შეხვდნენ. შეხვედრის ძირითადი დრო გუნდებმა ფრედ 1:1 დაასრულეს, ხოლო დამატებითი ტაიმების დროს საქართველოს მელიორაციის გუნდმა გამარჯვების მოპოვება შეძლო და შეხვედრაც ანგარიშით 2:1 დასრულდა. ტურნირის მეორე ადგილზე ეროვნული სატყეო სააგენტოს გუნდი, ხოლო მესამე ადგილზე გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის გუნდი გავიდა. გამარჯვებულ გუნდებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს თასი და მედლები გადაეცათ. მატჩს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იური ნოზაძე, შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორი დავით წითლიძე, სატყეო სააგენტოს უფროსი არჩილ ნიკოლეიშვილი, სხვადასხვა სამსახურების ხელმძღვანელი პირები და თანამშრომლები ესწრებოდნენ.

ტურნირი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებების გუნდებს შორის 2019 წლის 2 დეკემბრიდან მიმდინარეობდა.

საქართველოს მელიორაციაში სტუდენტთა სტაჟირება ჩატარდა

16 დეკემბერი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაციაში“ სტუდენტთა სტაჟირება ჩატარდა, რომელიც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა და ბიოსისტემების ინჟინერიის ფაკულტეტის რვა სტუდენტმა გაიარა. სამი თვის განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში კომპანიის სერვისცენტრებში და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ობიექტებზე სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ დასწრებოდნენ სამელიორაციო ინფრასტრუქტურის საექსპლუატაციო სამუშაოებს. პროგრამა მიზნად ისახავდა სოფლის მეურნეობის დარგში კვალიფიციური კადრების მომზადებას, მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობას.

კომპანიაში გამართულ შეხვედრაზე სტუდენტებმა სტაჟირების შემაჯამებელი პრეზენტაცია წარმოადგინეს, რის შემდეგაც მათ სერტიფიკატები შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურმა დირექტორმა, დავით წითლიძემ გადასცა. ღონისძიებას კომპანიის სხვადასხვა სამსახურების უფროსები და ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელები ესწრებოდნენ. შპს „საქართველოს მელიორაცია“ გეგმავს მომავალშიც შესთავაზოს სტუდენტებს კომპანიაში სტაჟირების გავლა, რათა მელიორაციის დარგის მოტივირებული და კომპეტენტური ახალგაზრდა სპეციალისტების რესურსით შევსებას შეუწყოს ხელი.

სოფელ ტყირში დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

26 დეკემბერი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ სენაკის მუნიციპალიტეტის თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ტყირში, ცივა-ტეხურის დამშრობი მასივის რეაბილიტაციას ახორციელებს. სამუშაოების ფარგლებში იწმინდება მაგისტრალური არხები, რომლის ჯამური სიგრძე 8 კილომეტრია. არხზე ასევე ეწყობა მილხიდები. ჩატარებული სამუშაოები 384 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობიდან ჭარბი წყლის მოცილებას უზრუნველყოფს. პროექტის ღირებულებაა 368 000 ლარი.

კახეთის რეგიონში ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს

27 დეკემბერი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ კახეთის რეგიონში, ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობას ადგილზე გაეცნო

შპს „საქართველოს მელიორაცია“ სარეაბილიტაციო სამუშაოებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, მარჯვენა და მარცხენა მაგისტრალური არხებზე ახორციელებს. პროექტით გათვალისწინებულია მაგისტრალური არხის 4,4 კმ-იანი მონაკვეთზე არსებული ჰიდროტექნიკური ნაგებობების (გალერეა, წყალგამშვებები და მათი მექანიკური მოწყობილობები, მილხიდები) რეაბილიტაცია. სამუშაოები მიმდინარე წლის სექტემბერში დაიწყო და 2020 წლის ივლისში დასრულდება. პროექტის ღირებულება 1 397 000 ლარს შეადგენს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების შედეგად, სარწყავი წყლის მიწოდება 3 330 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე გაუმჯობესდება.

საირიგაციო სისტემით სარგებლობას საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლების: ნინოწმინდა, გიორგიწმინდა, წყაროსთავი, იორმუღანლო, დუზაგრამა, ლამბალო, ყანდაურას (ნაწილი) მოსახლეობა შეძლებს.